

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის**

ოქთი №1

25/05/2020 წელი

ქ. ბათუმი

14⁰⁰ საათი.

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარმენ ჯალალონია.

სხდომას ესწრებოდნენ:

სოფიო კახაძე, რამაზ გოლომანიძე, ზურაბ გოლიაძე,
თორნიკე მუავანაძე და ტარიელ მუავანაძე.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალალონიამ, სხდომა
გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის
წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის
მოადგილის არჩევის შესახებ;

2. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2019 წლის 25
დეკემბრის №5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

3. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2021 საბიუჯეტო
განაცხადის დამტკიცების შესახებ;

4. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო 2019 წლის 25 დეკემბრის
№6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

5. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალალონიამ
კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის
წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ;

2. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2019 წლის 25 დეკემბრის №5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

3. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2021 საბიუჯეტო განაცხადის დამტკიცების შესახებ;

4. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო 2019 წლის 25 დეკემბრის №6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

1. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, წევრის უფლებამოსილების ვადით კომისიამ თავისი შემადგენლობიდან უნდა აირჩიოს უსკოს თავმჯდომარის მოადგილე სრული შემადგენლობის უმრავლესობით, სახელობითი კენჭისყრით. პარმენ ჯალალონიამ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის თანახმად, კომისიას შესთავაზა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატურის(ების) დასახელება.

აზრი გამოთქვეს:

სოფიო კახაძემ და თორნიკე მუავანაძემ.

სოფიო კახაძემ და თორნიკე მუავანაძემ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ვაკანტურ

თანამდებობაზე დაასახელეს თორნიკე მუავანაძის
კანდიდატურა.

კომისიის წევრებს შენიშვნები და სხვა წინადადებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალალონიამ,
კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის
თავმჯდომარის მოადგილის ვაკანტურ თანამდებობაზე
თორნიკე მუავანაძის კანდიდატურის არჩევის შესახებ.

სახელობითი კენჭისყრის შედეგები:

კანდიდატის სახელი, გვარი	ჯალალონია პარმენ	არა სამართლებრივი კანკალები	გოლომანიძე რამაზ გლოვარიძე	გლოვარიძე ზურაბ	მუავანაძე თორნიკე	გლოვარიძე თავმჯდომარე
თორნიკე მუავანაძე	მომხ. მომხ. მომხ. მომხ. მომხ. მომხ.	მომხ. მომხ. მომხ. მომხ. მომხ. მომხ.	6; წინააღმდეგი 0;			

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

პარმენ ჯალალონიამ კომისიას გააცნო სახელობითი
კენჭისყრის შედეგები, მიულოცა თორნიკე მუავანაძეს
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ არჩევა
და უსურვა წარმატებები.

ჩატარებული სახელობითი კენჭისყრის შედეგად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეული იქნა თორნიკე მუავანაძე.

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-14 მუხლის და 73-ე მუხლის

მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. არჩეული იქნეს თორნიკე მუავანაძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

2. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2019 წლის 25 დეკემბრის №5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2019 წლის 25 დეკემბრის №5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2019 წლის 25 დეკემბრის №5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტი დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

არჩევნების „შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის ხართალრიცხვის დამტკიცების „შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2019 წლის 25 დეკემბრის №5 განკარგულებით დამტკიცებულ დანართში შეტანილი იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს, თანდართული დანართის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

(თან ერთვის)

3. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2021 წლის საბიუჯეტო განაცხადის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2021 წლის საბიუჯეტო განაცხადის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2021 წლის საბიუჯეტო განაცხადის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების „შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2021 წლის საბიუჯეტო განაცხადი, დანართის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

(თან ერთვის)

4. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო 2019 წლის 25 დეკემბრის №6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კომისიას გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო 2019 წლის 25 დეკემბრის №6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო 2019 წლის 25 დეკემბრის №6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2019 წლის 25 დეკემბრის №6 განკარგულებით დამტკიცებულ დანართში შეტანილი იქნეს ცვლილებები და დანართის №18 და ბოლო სტრიქონები ჩამოყალიბდეს, შემდეგი რედაქციით:

№	თანამდებობა ბათა დასახელება	სამართლებრივი სტატუსი	ნაკვეთი	თანამდებობრივი სარგო	მონაცემთა სისტემის მონაცემთა სისტემის	იერარქიული რანგის აღწერა	თანამდებობრივი კორელაცია
18	განყოფილების უფროსი	პროფესიული საჯარო მოხელე	1	2 300	3	საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა	2,3
სულ			21	52 600			

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

**3. ეს განკარგულება ამოქმედდეს 2020 წლის
პირველი ივნისიდან.**

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ სხდომა დაწურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე

პარმენ ჯალაღონია

კომისიის მდივანი

სოფიო კახაძე